




# ხაშურის მთაშუა



№23 (104)

12 ივნისი, ორშაბათი, 2017 წელი

## შიდა ქართლში ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები დაინერგება

შიდა ქართლის მხარის გუბერნატორი, კახა სამხარაძე მოადგილეებთან ერთად სამხარეო ადმინისტრაციაში USAID-ისა და კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) წარმომადგენლებს შეხვდა. ორგანიზაცია აქამდე პროექტს „ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში“ აჭარისა და კახეთში ახორციელებდა, ამირეიდან კი საქმიანობას შიდა ქართლსა და თბილისში გააგრძელებს. „ნარჩენების მართვის ტექნოლო-



გიები რეგიონებში, ფაზა II“ (WMTR II) პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო შავგულიძემ შეკრებილებს დეტალურად გააცნო პროექტის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობას ნარჩენების მართვის სექტორის მოდერნიზების, მდგრადი განვითარებისა და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლიანი მართვის პრინციპების გამოყენებით, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს ნარჩენების მავნე ზემოქმედების შემცირებას ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე. გუბერნატორმა სრული მზადყოფნა გამოთქვა აღნიშნულთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რეგიონისთვის დროული და საჭირო პროექტია, ვინაიდან ჯანსაღი გარემოს შექმნა ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროექტი ოთხ ძირითად მიმართულებას მოიცავს: ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის განხორციელებას, ნარჩენების გადამამუშავებელი კერძო სექტორის გაძლიერებას, ჯარიმებს გარემოს დაზიანებებისათვის და ნარჩენების მართვის სატარიფო პოლიტიკას და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას.

## -ინფრასტრუქტურული პროექტები -

## დაათვალიერეს სამშენებლო სამუშაოები

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი გურასაშვილმა, ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სერგო ლალიაშვილმა და ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ ხელმძღვანელმა ნუკრი ცხოვრებაძემ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროექტები დაათვალიერეს. კერძოდ, სურამში, გრიგოლ სურამელის ქუჩის მოხრეშვა - მოშანდაგების და სოფელ ახალშენში გზის საფარის მოწესრიგების სამუშაოები. ორივე პროექტი მნიშვნელოვანია, რადგან ნაღვეის დროს, გადაადგილება შეუძლებელი ხდებოდა და ადგილობრივებს საფრთხე ექმნებოდათ. ამ ეტაპზე, სამუშაოებს „ხაშურსერვისი“ ახორციელებს და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები მკვეთრად გაუმჯობესდება. გამგებელმა, ხაშურში, ჯორჯაძის ქუჩაზე უკვე მოწყობილი საბავშვო ბაღიც დაათვალიერა.

ეს პროექტიც ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებობამ განახორციელა და ბიუჯეტიდან 100 000 ლარი გამოყო. მუნიციპალიტეტის გამგებლის განმარტებით, შემდგომი ეტაპისთვის იგეგმება ფასადის მოწესრიგება და სააღმზრდელო დაწესებულების სათანადო ინვენტარით აღჭურვა.



## ქართული შინა უსსოვლეობა არ გაიყოფა

მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მკაცრი კონსტიტუციური ჩანაწერით დაიცვათ ჩვენი ქვეყნის და მოქალაქეების სტრატეგიული ინტერესი და მიწა დარჩეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს და საქართველოს მოქალაქეებს, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძემ, დღეს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

ირაკლი კობახიძის განცხადებით, გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებული იქნა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საპარლამენტო უმრავლესობას და სამთავრობო გუნდს შორის გამართულ კონსულტაციებზე.

“მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მკაფიო და მკაცრი კონსტიტუციური ჩანაწერით დაიცვათ ჩვენი ქვეყნის და მოქალაქეების სტრატეგიული ინტერესი და მიწა დარჩეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს, საქართველოს მოქალაქეებს და მათი გაერთიანებების საკუთრებაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იქნა ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის მიწის არსებული და პოტენციური საბაზრო ღირებულების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ეკონომიკურ ზრდაში მიწის გასხვისების წვლილის და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. ახალი ჩანაწერი გახდება იმის გარანტია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსი არ გასხვისდეს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებზე და დაცული იქნება ეროვნული სტრატეგიული მიზნები”, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, უკვე შემოტანილია კანონპროექტი, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანამდე საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებზე დაჩქარებული წესით მიწების გასხვისება არ მოხდეს. კობახიძის განცხადებით, გადაწყვეტილება პოპულისტური არ არის და რეალურ ეროვნულ ინტერესებს ემსახურება.



## „დუგლაძეების ღვინო“ - კანის ფესტივალზე

საქართველოში, ალკოჰოლური სასმელების ბაზარზე, დიდი ხანია თავის ადგილი მტკიცედ დაიკავა ჩვენი მუნიციპალიტეტში წარმოებულმა სასმელმა „დუგლაძეების ღვინო“. ეს ბრენდი უკვე ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. კომპანიის მფლობელებმა, ბოლო წლებია, ღვინის წარმოებაშიც მოხინჯეს ძალები და დიდი წარმატებითაც. ამის დასტურია ის ბოლო ინფორმაცია, რომელიც მედიასაშუალებებმა აქტიურად გააშუქეს. კომპანიის წარმოებული ღვინო თვით კანის ფესტივალზე მოხვდა და დიდი აღფრთოვანებაც გამოიწვია...

წელს კანის 70-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართული მხატვრული ფილმის მხარდასაჭერად ქართულმა „დუგლაძეების ღვინომ“ იმოგზაურა. ახალგაზრდა ქართველი რეჟისორისა და პროდუსერის კინოდებიუტი კანში სწორედ ქართული ღვინის მხარდაჭერით შედგა.

დუგლაძის ღვინის კომპანია, ხშირად ახორციელებს მსგავსი ტიპის აქციებს და წელს ერთ-ერთი ქართული პროექტი გრან-პრის მფლობელი გახდა. როგორც ღონისძიების მონაწილეები ამბობენ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა გამოსმაურებამ და ინტერესმა, რომელიც ქართულ პავილიონში ქართული ღვინის გამოჩენას მოჰყვა.

მუკუზანი, ტიბაანი, წინანდალი და ცნობილი ქინძმარაული - ეს სწორედ ის სახეობებია, რომლითაც კომპანია ქართულ პავილიონში შეკრებილ ყველა სხვა ქვეყნიდან ჩამოსულ კინონიდუსტრიის წარმომადგენელს გაუმასპინძლდა.

“ჩვენ მოხარულები ვართ, რომ შევქმენით უნიკალური პრეცედენტი ქართული გენისა და ღვინის წარდგინება მომხდარიყო სწორედ ევროპული კინონიდუსტრიის ეპიცენტრში. კომპანიისთვის ქართული კულტურისა და ხასითის გაზიარება უმნიშვნელოვანესი მისიაა, რომელიც წითელი ხალიჩით დაიწყო და მომავალში არაერთი საინტერესო პროექტით გაგრძელდება”, - აცხადებენ „დუგლაძეების“ ღვინის კომპანიაში.







# 14 ივნისი საქართველოში შშმ პირების დღეა

დამეთანხმებით, სამყარო არ გამოირჩევა კანონზომიერებით-რადაც ან მეტია, ან ნაკლები, ან მცირე-ან ზედმეტი, ან ფერადი-ან უფერო, ადამიანებსაც მეტ-ნაკლებად გვეძლევა გონებრივი თუ ფიზიკური განვითარების შესაძლებლობა, მაგრამ იმაზეც ვთანხმდებით, რომ ერთი ღმერთის, ერთი ცის შვილებს სტატუსები არ უნდა გვეყოფდეს, არ უნდა გვსაზღვრავდეს. 14 ივნისი შშმ პირების დღეა საქართველოში-რაც თავისთავად პატივისცემის გამოხატულებაა ჩვენგან ოდნავ განსხვავებული ადამიანების მიმართ, რომლებიც თავისი ბუნებით და მგრძობილობით განსხვავებული არიან. როგორ ფაქიზადაც არ უნდა შევეხეთ თემას, როგორ ადამიანურადაც არ უნდა ვარჩიოთ სიტყვები,



ფაქტი ფაქტად რჩება-არსებობენ ადამიანები დაქვეითებული გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობებით, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას და საზოგადოებრივ ადაპტაციას საჭიროებენ. გარდა სახელმწიფო მხარდაჭერისა, არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც შშმ პირების უფლებებსა და საზოგადოებრივ ადაპტაციაზე ზრუნავენ. დიდი ხანი არაა, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტში დაარსდა "მომავლის სახლი", რომელიც ხუთი

წლის განმავლობაში საკუთარი კეთილი ნებით შშმ ბავშვების მოძიებას და დახმარებას ცდილობდა. ჩვენ ვესაუბრეთ "მომავლის სახლის" წარმომადგენელს, ქალბატონ ია გასინგილს, რომელიც ასევე, უანგარო სიკეთის მაგალითია, იგი უდემდამო შშმ ბავშვს დედობას უწევს. ამაზე მოგვიანებით, სხვა დროს ვრცლად ვიამბობთ. ახლა კი, "მომავლის სახლის" შექმნის იდეასა და საქმიანობაზე ვისაუბრებთ:

-დღეს უკვე არასამთავრობო ორგანიზაციად რეგისტრირებული "მომავლის სახლი" რეალურად ხუთი წლის წინ შეიქმნა, როდესაც რამდენიმე ადამიანის კეთილი ნების საფუძველზე, ვახორციელებდით შშმ ბავშვების მოძიებას ხაშურის მუნიციპალიტეტის მასშტაბით და ვცდილობდით დახმარებას მათთვის საჭირო სამედიცინო თუ სხვადასხვა სახის ინვენტარით. მინდა, გითხრა, რომ ასეთი ბავშვების რაოდენობა ჩვენს მუნიციპალიტეტში არც ისე ცოტაა, დაახლოებით 200 ბავშვი შშმ სტატუსით სარგებლობს. რადგან თითქმის ყველა ქალაქში არსებობს მომავლის სახლები, ხაშურის გარდა, ჩვენი მიზანსაც, თავიდანვე მათი დახმარება და საზოგადოებასთან ადაპტაცია წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსი სულ ცოტა ხნის წინ მივიღეთ, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად ვცდილობდით მათთვის თანადგომის გაწევას, ყოველდღიურობის გალამაზებას სხვადასხვა აქტივობებით და ღონისძიებებით. არსებობს კოალიცია "დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის", სადაც მზადდება ეტლები შშმ მოქალაქეებისთვის, მათი დახმარებით, რამდენიმე ბავშვს უსასყიდლოდ გადაეცემა ეტლები, გასულ წელს, ჯომარდობის ტურნირზეც წარმატებულად იასპარეხეს ჩვენმა ბენეფიციარებმა, ჩვენივე ბენეფიციარების მონაწილეობით, ჩავატარეთ საქველმოქმედო ღონისძიება. დღეს ჩვენი სახლი მხოლოდ 20 ბენეფიციარს ემსახურება, რადგან არ გვაქვს ჩვენს საკუთრებაში რაიმე ტიპის შენობა, ალტერნატიული ფართით გვიწევს სარგებლობა-სხვადასხვა სკოლებში, ან ბიბლიოთეკებში, თუმცა, არსებობს დაპირება და კეთილი ნება მუნიციპალიტეტის მხრიდან, რომ გვექონდეს შენობა, სადაც სხვა ბენეფიციარებსაც შეეძლება სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა და ადაპტაცია. ამ ეტაპზე, შეიძლება მასწავლებელი თავისი სურვილით და უანგაროდ ესმარება პატარებს, რომლებსაც, დამეთანხმებით, დიდი სიბოძის, სიყვარულის გაცემის და გაზიარების ნიჭი აქვთ.

14 ივნისს, საქართველო აღნიშნავს შშმ პირების დღეს. ჩვენი მხრივ, "მომავლის სახლიც" უერთდება ამ დღეს თავისი მოკრძალებული ღონისძიებით, სადაც პატარები თავიანთი შემოქმედებით გააკეთებენ გზავნილს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, რომ ერთი დიდი სამყაროს ერთუფლებიანი და ერთშესაძლებლობიანი წევრები ვართ!

თ. ჯავახიშვილი

## -მეცხოველეობა - საწიგებელი - ოჯახს, საწიგებელი - ქვეყანას

მეცხოველეობაც ერთ-ერთი ძველიგავრცელებული და მომგებიანი დარგია სოფლის მეურნეობის. ბაზარზეც ყოველთვის დიდია მოთხოვნილება ხორცსა და ხორცპროდუქტებზე. დამეთანხმებით,



მსოფლიოში პირველი თუ არა, ერთ-ერთი ერი ვართ, რომლის ეროვნულ სამზარეულოშიც, ხორცს წამყვანი და საპატივსაცემო ადგილი უჭირავს. და რადგან, მოთხოვნილება არსებობს, მიწოდებაც

შესაბამისი უნდა იყოს. ჩვენ მკითხველს, მცირე ზომის ფერმის მეპატრონე გვინდა გავაცნოთ. ნებისმიერი საქმის დასაწყისი, შეიძლება სულაც არ იყოს მასშტაბური და გრანდიოზული-მთავარი მონდომება და დაუღალავი შრომა-ესაა ფორმულა ნებისმიერი საქმის წარმატების.

ღორების რამდენიმესულიან ფერმას ქვიშხეთთან ახლოს, ბუღბუღისციხეში ვესტუმრეთ. მურმან ბლუაშვილი მეორე წელია თავის მონდომებას და შრომას დებს ამ საქმეში. მხიარული და სტუმართმოყვარე მასპინძელი თავის ახალ საქმეზე გვესაუბრა:

-ჩემ ოჯახის წევრებს ყველას თავისი საქმე აქვს, არც მე მიყვარს უსაქმოდ ყოფნა, მით უმეტეს, ისეთ ადილას ვცხოვრობ, სადაც ბევრი რამის კეთების შესაძლებლობაა. ორი წლის წინ, გადავწყვიტე ღორების ფერმა გამეკეთებინა. თავდაპირველად სამი დედაღორი მყავდა, სამივეს ნამატი გავზარდე, გავამრავლე. ახლა 20 ღორი ტყეში მყავს გაშვებული, 6 დედაღორი ნამატის მოვლინშია. უკრაინული ჯიშია, დიდი ჯიშის ღორიც მყავდა, მაგრამ სპეციფიკური მოვლა ჭირდებოდა, ამიტომ, არჩევანი ისევ ამ ჯიშზე გავაკეთე. თუ კარგად მოუვლი, 200 კგ-მდეც იზრდება. ჩემი მიზანი ღორების სახორცედ გაყიდვა არ არის, მინდა მარტო ვოჭების გაზრდა-გაყიდვაზე ვიმუშაო, უფრო მომგებიანია და ბაზარზეც დიდი მოთხოვნაა, წინასწარ მითანხმდებიან კლიენტები, რომ შევუნახო ვოჭები, ფაქტობრივად, ბაზარზე გაყვანა არ მიწევს. რადგან საკუთარი მიწები არ მაქვს და იმის ფუფუნებასაც მოკლებული ვარ, რომ თვითონ მოვიყვანო მარცვლეული კულტურა საკვებად, ამიტომ შემოდგომით, როცა ნედლეულის ფასი

შედარებით დაბალია, ვყიდულობ და ვასაწვობებ ზამთრისთვის. ძირითადად, ხორბლით, შვრიით და ქერით ვზრდი. საღორეშივე მაქვს პატარა ზომის წისკილი, იქვე ვფქვავ და ვაწვდი საკვებს, რაც მოსახერხებელია და შრომასაც მითოვებს.

რადგან მარტო ვუძღვები ამ საქმეს, დამხმარების გარეშე, ამ ეტაპზე საკმარისია ჩემთვის, რამდენიმე წელიწადში საკმარისად კარგ მოგებას ველოდები და შემდეგ შეიძლება ფერმის გაფართოებაზეც ვიფიქრო.

ჩვენს მკითხველს და ზოგადად იმ ადამიანებს, ვისაც ახალი საქმის წამოწყების სურვილი აქვთ, ვფიქრობ, ასეთი ადამიანების გაცნობით, ერთგვარ სტიმულს აძლევს ჩვენი გაზეთი-შეიძლება განსაკუთრებულ მასშტაბებს ვერ შეეწვედით, მაგრამ გვექონდეს საქმე, რომელიც სარგებლის მომტანი ჩვენთვის, ჩვენი ოჯახისთვის და ქვეყნისთვის.

თ. ჯავახიშვილი



## -სახალისო ისტორიები - ღორი რას ჭამს, ბავშვებო?

ნანა მჭედლიძის „იმერული ესკიზები“, რომ გამოვიდა ეკრანზე, მასწავლებელთა ერთი ნაწილის აღშფოთებას სახლავარი არ ჰქონდა. ფილმი საბჭოთა პედაგოგის დაცინვად აღიქვეს და შეურაცხყოფად იგრძნეს თავი. ასე იყო ჩვენს რაიონშიც. მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა საპროტესტო წერილებიც კი აფრინეს უმაღლეს ორგანოში და ჟურნალ-გაზეთებში. მკაცრად მოითხოვეს ფილმის აკრძალვა.

უკმაყოფილოებს განათლების განყოფილების ზოგიერთი მუშაკიც შეუერთდა და საკითხის განახილვებად ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქტორი არჩილ გოგელია მოიწვიეს. ჩამობრძანდა ბატონი არჩილი, შეიკრიბნენ რკინიგზის კულტურის სახლში უკმაყოფილო პედაგოგები, განათლების განყოფილების მუშაკები და სკოლის დირექტორები. ჯერ პედაგოგებმა ილაპარაკეს და ქვა-ქვაზე არ დატოვეს ფილმიდან. ბოლოს, ბატონი არჩილი გამოვიდა და პროტესტანტებს ცივი წყალი გადაასხა. აქო და ადიდა ფილმი, მერე კი დამოდგრა პედაგოგები. ერთი სიტყვით „კრება დარჩა მხიარული“.

საღამოს, როგორც წესი, დიდებული სუფრა გაიშალა. ოღონდ აქ, ძირითადად, დირექტორები და ხელმძღვანელ მუშაკები იყვნენ. მათ შორის მეც ვიყავი. ბატონმა არჩილმა გვთხოვა, სუფრის წევრებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი „იმერული ესკიზების“ შესახებ. ფილმი ყველამ შეაქო. მე, პირადად ფელინის „ამარკორდს“ შევადარე. ბატონმა არჩილმა - ცოტა მეტი მოგივიდაო.

ყველაზე საინტერესო მანინც ერთ-ერთი სკოლის დირექტორის ბატონ ვ. გოგალაძის გამოსვლა იყო. სიტყვა-სიტყვით გადმოგვიცემთ მის მონათხრობს: „პირველი კლასის მასწავლებელმა მთხოვა, გაკვეთილზე დამესწარიო, უარს როგორ ვეტყვოდი. წავეყვი. ასახსნელი ჰქონდა ასო-ბგერა „მ“. ჩვენ ხშირად ვთხოვთ პედაგოგებს ბავშვები აზროვნებას მიანიჭეთო და როგორც ჩანს, „ჩემმა“ პედაგოგმაც გადაწყვიტა პირველ კლასელთა აზროვნებით მოეწონებინა თავი.

გაკვეთილის ახსნა ასე დაიწყო: აბა ვინ მეტყვის, ბავშვებო „ღორი რას ჭამს“? კარგად დაფიქრდით და მიპასუხეთ, აბა „რას ჭამს ღორი?“.. აქვე გაგიმხელთ პედაგოგის ჩანაფიქრს. მასწავლებელი ფიქრობდა, რომ რომელიმე ბავშვი იტყოდა - ღორი ჭამს რკოს, მერე მასწავლებელი შეეკითხებოდა - რას ახსნა? ბავშვები - მუხას. ჰოდა, ჩვენ დღეს შევიწავლით მუხას მუ-ხა, ასო-ბგერა „მ“... და ასე შემდეგ.

ბავშვებმა უპასუხეს: „ქატოს, პურს, მჭადს, მარცვალს, ბალახს... და შეჩერდნენ. მასწავლებელი კი არ ჩერდება. „აბა ვინ იტყვის, აბა, სოფელში მანინც არ ცხოვრობდით“. სამარისებელი სინჟემ ჩამოვარდა. ბოლოს მასწავლებელი უხერხულობიდან ერთმა „ყოჩაღმა“ მოსწავლემ იხსნა. მან გაბედულად ასწავა ხელი და რიხიანად წარმოსთქვა: „ღორი, მასწავლებელო, ჭამს „მძღ...ურს“.

სიტყვები ვეღარ შევიკავე. დავეტოვე ყურებამდე გაწითლებული მასწავლებელი და ბავშვები დედა გამოვედი. მთელ დღეს ამ ამბავზე მეცინებოდა... დამთავრა მაჟორ-ულ ნოტაზე ეს ამბავი ბატონმა დირექტორმა.

ასე იყო ეს ამბავი.

კლიმენტი სუთიაშვილი

- სოფლის მეურნეობა -  
ინოვაციური მეთოდები ხორბლის უხვ მოსავალს უზრუნველყოფს

საქართველოში სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზას დაადგა. სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულმა პროგრამებმა და შედეგებმა, დარგის განვითარებისათვის, მკვეთრად შემოაბრუნა მიწათმოქმედებისაკენ ქართველობა. თუ გასულ წლებში ეს დარგი მისუსტებული და უყურადღებოდ დარჩენილი იყო, დღეს, სურათი რადიკალურადაა შეცვლილი. მოსახლეობა გულმოდგინედ ერთვება სოფლის მეურნეობაში, იხეხება ათასობით ჰექტარი მიწა - მოსავალსაც ჯეროვანს ელოდებიან. გარდა კერძო მიწის მესაკუთრებისა, მრავლად გხვდება კოოპერატივები, რომლებსაც სახელმწიფოსგან გაცილებით მეტი სარგებელი აქვთ, ამჟამად, ჩვენს მუნიციპალიტეტში, 42 კოოპერატივია დარეგისტრირებული, ვიმედოვნებთ, მათი რიცხვი გაიზრდება, უფრო მეტი და მეტი ჩაერთვება ამ უმნიშვნელოვანესი დარგის - მიწათმოქმედების კვლავ აღორძინებაში. დღეს, ერთ-ერთ საკმაოდ მძლავრ კოოპერატივზე გვიამბობთ, რომელიც გასულ წელს შეიქმნა. კოოპერატივის მიმდინარე სამუშაოებზე და სამომავლო გეგმებზე „ხაშურის მოამბეს“ კოოპერატივის ერთ-ერთმა წევრმა ზვიად ძამანაშვილმა უამბო: - კოოპერატივი „სურამი 2017“ 2016 წელს შეიქმნა, მასში სულ 17 ადამიანია გაწევრიანებული. ამჟამად, კოოპერატივის მფლობელობაში 30 ჰექტარამდე მიწაა. ჯერ კიდევ კოოპერატივის შექმნამდე შევიძინეთ სოფელ წრომში 12 ჰექტარი მიწა, სადაც მიმდინარე წელს, დავეთესეთ ხორბალი - „ბიუგა“, რომელიც რუსული ჯიშისაა და უხვმოსავლიანობით გამოირჩევა. ამ ფართობზე, დაახლოებით 3 ტონა დავეთესეთ, მოსავალსაც კარგს ველოდებით - ერთ ჰექტარზე - 8 ტონა ნახევარს. გარდა იმისა, რომ ხორბლის ეს ჯიშის მაღალი მოსავლიანობითაა ცნობილი, ამასთან, არ იპნევა, როგორც სხვა ჯიშის ხორბალს ახასიათებს. სამომავლოდ, როდესაც მოსავალს მოგვეცემს, ვფიქრობთ, სათესლედაც გავყიდით. აქვე აღვნიშნავ, რომ ხორბალი განსხვავებული ტექნოლოგიებით დაითესა, რამაც უზრუნველყო ხორბლის წარმატებით გათავთავიანება. სანამ ხორბალს დავეთესდით, მანამდე, მოხსნულ მიწას შევეურიეთ სასუქი. ასევე, სოფელ გომში



7 ჰექტარზე გავაშენეთ ვაშლი სუსტ საძირებზე და 2 ჰექტარზე კენკროვანი ხილი, ქოლო და უეკლო მაცვალი, ამ უკანასკნელსაც, ვფიქრობთ რომ ნერგების სახით გავყიდით სამომავლად. ხილის ბაღის გაშენება სახელმწიფო პროექტის „დანერგე მომავალი“ თანამონაწილეობით მოხერხდა. პროგრამის ფარგლებში, 70% ნერგებით დაგვაფინანსეს და 50% წვეთოვანი სარწყავი სისტემით. საერთო ჯამში, დაფინანსება 61 075 ლარი მივიღეთ. წარმატებას ვუსურვებთ ახლად შექმნილ კოოპერატივს, მათი წვლილი ნამდვილად დასაფასებელია ხაშურის რაიონში სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში.  
თ. ახალკაცი

- სპეციალისტი გვიჩვენებს -  
თუ ღორის მოშენება გვსურს

მეღორეობა - მეცხოველეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომლის მიზანია ღორის მოშენება ხორცის, ქონის, ტყავის, ჯაგრის და სხვა პროდუქტების მისაღებად. მეღორეობას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მეღორეობაზე მოდის მეცხოველეობის საერთო პროდუქციის 20%-ზე მეტი. მეღორეობის ეფექტურობა იმითაც აისხნება, რომ ის არის მალეწიფადი, მრავალნაყოფიერი და ყველაფრის მჭამელი ცხოველი. მეღორეობის ბინათმშენებლობისთვის უნდა შეირჩეს მშრალი, თიხნარი ადგილი, 5%-იანი დახრილობით იმიტომ, რომ დაცული იყოს დატბორვისგან. საღორე აშენებული უნდა იყოს ხარისხიანი მასალით, უნდა იყოს თბილი, ნათელი და კარგად სუფთავდებოდეს ჰაერით. სრულფასოვანი პროდუქტის მისაღებად აუცილებელია ადრეული ასაკიდან ცხოველებს ჩაუტაროთ პროფილაქტიკური აცრები. ღორებში დაავადებები იყოფა სამ კატეგორიად: ინფექციური, ინვაზიური და არაგადამდები დაავადებები. საშიში ინფექციური დაავადებებია: ღორის კლასიკური და აფრიკული ჭირი, წითელი ქარი, პასტერელოზი და სხვა. ღორის ჭირი - ბუნებრივ პირობებში ავადდება ყველა ასაკის შინაური და გარეული ღორები. ინფექციის წყაროს წარმოადგენს დაავადებული და დაავადებაგადამდები ვირუსმატარებელი ღორები. ვირუსმატარებლობა გრძელდება 3-10 თვის განმავლობაში. ღორის ჭირისთვის დამახასიათებელია ცხელება, კონიუქტივიტი, რინიტი, შეკრულობა და ფაღარათი, კოორდინაციის დარღვევა, წერტილოვანი სისხლნაქცევები კანზე, მუცელზე, კისერზე, ბარძაყის შიდა მხარეს, სიღურჯე, ფილტვების ანთება, ტემპერატურის აწევა, მწვავე ფორმის დროს ცხოველი 2-10 დღეში კვდება. ღორის ჭირის საწინააღმდეგოდ, ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებების ჩატარებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფილაქტიკურ აცრებს. აცრები ტარდება 2 თვის

ასაკიდან. ამისათვის იყენებენ ღორის ჭირის ვაქცინას, რომელიც კეთდება 2 გრ. რაოდენობით. ღორის წითელი ქარი - ავადდება ღორები 3-12 თვის ასაკში. დაავადების წყაროა კლინიკურად ჯანმრთელი მიკრობმატარებელი და ასევე დაავადებული ღორები, რომლებიც მიკრობს გამოყოფენ ფეკალთან, შარდთან და კანის ქერცლოვან ერთად. დაავადების აღმძვრელი გადააქვთ მღრღნელებს, სისხლისმწოველ მწერებს და ფრინველებს. ავადმყოფობა იწყება ცხოველის მოწყენილობით, ტემპერატურის აწევით 42º გრადუსამდე. ღორი მოღუნებულია, უმთავრესად წვეს, საკვებს არ იღებს, აღინიშნება ყაბზობა, კუნთების კანკალი, გულის უკმარისობა, ზოგჯერ ადგილი აქვს ღებინებას, დაავადებას ორგანიზმი მიჰყავს ფილტვების შეშუპებამდე, სუნთქვა გაძნელებულია, კიდურების შიგნით ზედაპირზე და მუცელზე ჩნდება ჯერ ვარდისფერი ლაქები, რომელიც შემდეგ მუქ წითელ ფერს ღებულობს. ავადმყოფობა გრძელდება 24 დღე. სამკურნალოდ გამოიყენება ანტიბიოტიკური შრავი და ანტიბიოტიკები. შრავი შეყავთ კუნთში 15 მლ. ცოცხალ წონაზე. პროფილაქტიკის მიზნით, გამოიყენება ღორის წითელი ქარის ვაქცინა და კომბინირებული ვაქცინა (ერიპსტინი) 2 მლ. კუნთში. ღორი ინვაზიური დაავადებების მიმართ ძლიერ ამოვისებელია, ძლიერი ინვაზიის დროს ცხოველის პროდუქტიულობა კლებულობს, ახასიათებს უმადობა, სივამდრე, ამიტი, საჭიროა ცხოველი ჰელმინთებზე დამუშავდეს წელიწადში ოთხჯერ, რისთვისაც გამოიყენება სხვადასხვა სახის ანტიჰელმინთური პრეპარატები, რომლებიც კლდევათ წონის მიხედვით. ღორები ხშირად ავადდებიან არაგადამდები დაავადებებით, რომლებიც გამოწვეულია უხარისხო, გაფუჭებული საკვებით და იწამლებიან. ასეთ შემთხვევაში, ზუსტი დიაგნოზის დასასმელად და მკურნალობისათვის აუცილებელია ვეტერინარი ექიმის რჩევები და კონსულტაციები.  
ნინო თელიაშვილი,  
სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარული

= კალათბურთი =  
ზაზა ფაჩულიას საჩუქარი - ხაშურელებს

ვეტერანი კალათბურთელი შიო ხეცურიანი ქუთაისში, გორში და ხაშურში საკალათბურთო საზოგადოებას შეხვდა. ხეცურიანმა, რომელიც თავის დროზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე იყო, ახალგაზრდა კალათბურთელებს ზაზა ფაჩულიას მიერ გამოგზავნილი საკალათბურთო ამუნიცია - „გოლდენ სტიტის“ მაისურები და ბურთები გადასცა. საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი ქუთაისში და გორში 18-წლამდე მოთამაშეებს შეხვდა, ხაშურში მასთან საუბარს 16-წლამდელები ესწრებოდნენ. საუბრის ძირითადი თემა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, air Play-ს პრინციპების შენარჩუნება და კალათბურთში განათლების მნიშვნელობა იყო. „საქართველოში უყვართ კალათბურთი და აღნიშნული ტი-



პის შეხვედრები საკალათბურთო საზოგადოებას უფრო მეტად გააერთიანებს. ახალგაზრდებისთვის სასარგებლოა კალათბურთში განათლების მნიშვნელობაზე ინფორმაციის მიღება. ბავშვებისთვის სასიამოვნო იყო საქართველოს

ნაკრების კაპიტნის, ზაზა ფაჩულიას საჩუქრები, რომელიც მთელი საქართველოს ყურადღებას დღეს, მნიშვნელოვანი ფინალური სერიის დროს გრძნობს. გადავწყვიტეთ, ჩავსულიყავით საქართველოს სამ ქალაქში - ქუთაისში, გორსა და ხაშურში. ჩვენი იქ ჩავედით, როგორც ყოფილი კალათბურთელები და კალათბურთის გულშემამტკივრები. ჩასვლის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის და კალათბურთის პოპულარიზაცია წარმოადგენდა. ცხადია, ახალგაზრდებისთვის სასარგებლოა კალათბურთში განათლების მნიშვნელობაზე ინფორმაციის მიღება. შეხვედრით საკალათბურთო საზოგადოების წარმომადგენლებს, მწვრთნელებს, მენეჯერებს, ვისაუბრეთ, როგორც რეგიონის, ისე მთელი საქართველოს მასშტაბით კალათბურთის განვითარებაზე. ახალგაზრდა კალათბურთელებს გადავეცით საქართველოს ნაკრების კაპიტნის, ზაზა ფაჩულიას მიერ გამოგზავნილი საჩუქრები - „გოლდენ სტიტის“ მაისურები და NBA-ს ბურთები. ბავშვები ამ ფაქტმა ძალიან გაახარა, ისინი აქტიურად გულშემამტკივრობენ ზაზა ფაჩულიას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ზაზას ახლა ფინალები აქვს NBA-ში. მინდა ვთქვა, რომ სამივე ქალაქში ძალიან ნაყოფიერი შეხვედრები შედგა. ვიმედოვნებ, რომ შემდეგში კიდევ უფრო განვითარდება ქართული კალათბურთი, კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდა დაინტერესდება ამ სპორტით და უფრო მეტი პროფესიონალი კალათბურთელი ეყოლება ჩვენს ქვეყანას. უახლოეს მომავალში, საქართველოს სხვა რეგიონებშიც ვგეგმავთ ჩასვლას და ახალგაზრდებთან შეხვედრებს. პირველ ეტაპზე, შევარჩიეთ ისეთი ქალაქები, სადაც კალათბურთი შედარებით პოპულარულია - ხაშურში ძალიან ცდილობენ ამ სპორტის განვითარებას, ახალი თაობის მხრიდან ინტერესი დიდია, ადგილობრივი თვითმმართველობა მონდომებულია, ხელი შეუწყოს კალათბურთის განვითარებას. რაც შეეხება ქუთაისს, ის ისტორიულად საკალათბურთო ქალაქია და მიხარია, რომ ადგილობრივი მერია სპორტის ამ სახეობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. სწორედ ქუთაისის თვითმმართველობის ხელშეწყობით, ქალაქმა ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენი აღზარდა და ეს პროცესი გრძელდება. გორიც საკმაოდ აქტიურია კალათბურთის მხრივ. ვიმედოვნებთ, რომ სხვა ქალაქებშიც ისეთივე ნაყოფიერი შეხვედრები შედგება, როგორც ქუთაისში, გორსა და ხაშურში გვექონდა“, - განაცხადა შიო ხეცურიანმა. აღნიშნავია, რომ ხეცურიანის გარდა, აღნიშნულ შეხვედრებს ვეტერანი კალათბურთელები ზვიად ბაბიაშვილი, ირაკლი შანიძე და იმერეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბუბა კვიციანიც ესწრებოდნენ.

# „ივერია“ რეგიონული ლიგის ლიდერია

იყო დრო, როდესაც ხაშურის „ივერია“, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, ერთ-ერთი თვითმყოფადი გუნდი გახლდათ და თანასწორად ებრძოდა ლიგის აღიარებულ ლიდერებს – თბილისის დინამოს, ქუთაისის „ტორპედოს“ თუ ლანჩხუთის „გურიას“, რომლებსაც საკავშირო მასშტაბით, უდიდესი გამოცდილება უმაგრებდათ ზურგს. გულშემატკვართა დასწრების მხირვ კი, „ივერია“ ერთ-ერთი მოწ-



შუალედურ ვარიანტს, რომელიც ტენდერს გამარჯვებულმა არქიტექტორებმა შემოგვთავაზეს. მის საბოლოო ვარიანტში, რა თქმა უნდა, გარკვეული ცვლილებები მოხდება, მაგრამ საერთო სახე, დაახლოებით, ისეთი იქნება, როგორც სურათზე ჩანს. ამ რამდენიმე დღის წინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადება გაავრცელა ახალი სახელმწიფო პროგრამის შესახებ. ამ პროგრამის თანახმად, უახლოეს სამ წელიწადში, სახელმწიფო 100 მილიონ ლარს გამოყოფს ფეხბურთში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, რომელიც, ძირითადად, სტადიონების მშენებლობას გულისხმობს. მუნიციპალიტეტის გამგეობა აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ფეხბურთის ფედერაციასთან და მუნიციპალური განვითარების ფონდთან და იმედია, „ივერიის“ სტადიონის მშენებლობა შორი პრესპექტივა აღარ იქნება. დღეისათვის გამგეობა მზადაა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, თანადაფინანსებაში მიიღოს მონაწილეობა და ამისათვის თანხები გამოყოს. საერთო ხარჯები კი 2 მილიონ ლარს გადააჭარბებს. აქვე გვინდა, ვთქვათ მოედნის საფარის შესახებ. ჩვენი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ურთულესი იქნება ბუნებრივი საფარის მოწყობა, მოვლა და შენახვა. გამგეობა ხელფეხურ საფარს უჭერს მხარს და ეს ჩვენც სწორ გადაწყვეტილებად მიგვაჩნია. მეოთხე თაობის ხელფეხური საფარი უმაღლესი დონისაა და ასეთ საფარზე ბევრი ცნობილი კლუბი არ ამბობს უარს.

მოკლედ, ასეთია „ივერიის“ და მისი სტადიონის მომავლის პერსპექტივები. ერთ თვეში რეგიონული ლიგის მეორე წრის თამაშები იწყება. თუ გული გულობს და მართლა გვიყვარს „ივერია“, არც ბორჯომის სტადიონია შორს და ეგებ შინაურ თამაშებში უფრო მეტმა გულშემატკვარმა დავეჭიროთ მხარი, რომ გუნდს დასახული მიზნის მიღწევაში დავეხმაროთ. და თუ ეს მოხდა, ვინძლო, მესამე ლიგაში ახალი სტადიონითაც შევეგებოთ 2019 წლის სეზონს.



ინავე იყო, სტადიონი თითქმის ყოველთვის იგეგმოდა და 5-7 ათასი მაყურებელი მსურვალედ უჭერდა მხარს საყვარელ გუნდს. მართლაც „ეკ, დრონი, დრონი...“ სამწუხაროდ, საუკუნის ისტორიის მქონე კლუბი, სხვადასხვა მიზეზების გამო, დღეს ის აღარ არის, რასაც მისი გულშემატკვირები ვოცნებობთ. ის კი არა, სტადიონის უქონლობის გამო, შინაურ თამაშებში, ბორჯომში ვმასპინძლობთ გუნდებს. წინა ხელი-სუფლების დროს, რაიონის ადგილობრივმა „მამებმა“ იმდენი „მოახერხეს“, რომ უმაღლესი ლიგიდან ჯერ მეორეში, შემდეგ-მესამეში და ბოლოს-რეგიონულ ლიგაში აღმოჩნდით. და მაინც, გვინდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი ცუდი უკან დარჩა და არაა გამორიცხული, წლები-წლები წელი „ივერიის“ აღმასვლის დასაწყისის წლად იქცეს. გუნდს წელს უფროს მრწვთნელად ზაზა ლაცაბიძე დაენიშნა. ზაზა ლაცაბიძე, ხაშურის ფეხბურთის ისტორიაში, ერთ-ერთი წარმატებული სპორტსმენი იყო და არც სამრწვთნელო ასპარეზზე ნაკლები. მისი ასისტენტებიც – ზურა ლომიძე და ბესიკ ვეშაპიძე ასევე გულშემატკვირებისთვის ცნობილი ყოფილი ფეხბურთელები არიან და ეს სამეული, მწირი დაფინანსების მიუხედავად, დირსეულად უძღვება დღევანდელ „ივერიას“. რეგიონულ ლიგაში კი სიტუაცია ასეთია: ლიგა „ა“, „ბ“ და „გ“ ჯგუფებია დაყოფილი. „ა“ ჯგუფში – აღმოსავლეთის, „ბ“ ჯგუფში დასავლეთის „გ“ ჯგუფში კი – სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის და თბილისის კლუბებია. სწორედ ამ უკანასკნელში იბრძვის „ივერია“ და პირველი წრის შემდეგ ლიდერობს. პირველ ადგილზე გასული გუნდები ავტომატურად აღზევდებიან მესამე ლიგაში და წელს „ივერიის“ მიზანი სწორედ ესაა. მეორე ადგილზე გასული გუნდებსაც უნარჩუნდებთ შანსი – ისინი პლეი-ოფში იბრძობდნენ, მაგრამ მოდით, თავი დავენებთ მეორე ადგილს, როდესაც ასეთი შედეგი გვაქვს. შანსი კი აშკარადაა, მითუმეტეს, რომ ჩვენთან ერთად დაწინაურებულ „ვარკეთილის“ და „ლოკომოტივს“ სახელში ვმასპინძლობთ. და თუ ეს მისია შესრულდა, აშკარად დაიწყება პროგრესი. ამის საშუალებას კი უკვე მკვეთრად გაზრდილი სახელმწიფო დაფინანსება იძლევა, რომელიც მესამე ლიგის გუნდებს 250 ათასით განესაზღვრება. ეს კი საშუალებას მოგვცემს 4-5 გამოცდილი ფეხბურთელი მოვიწვიოთ და უკვე მეორე ლიგის საგზურისთვის ვიბრძოლოთ. რა თქმა უნდა, ნიჰილისტი გულშემატკვიარი იტყვის, გუნდს, რომელსაც საკუთარი სტადიონი არ გააჩნია, მაღალი მიზნები არც უნდა ჰქონდესო და ალბათ მართალიც იქნება, მაგრამ გვინდა, ყველა გავახაროთ და ვაცნობოთ, რომ ამ მხრივაც პროგრესია. ამ ცოტა ხნის წინ, მუნიციპალიტეტის გამგეობამ ტენდერი გამოაცხადა სტადიონის პროექტზე, რომელიც 50 ათასი ლარი დაჯდა. დღეს მკითხველს უკვე ვთავაზობთ პროექტის

გუნდი	თ	გ	ფ	გ	გვ	გმ	+/-	ქ
ზარკათილი	11	9	1	1	48	8	40	28
ივერია	11	9	1	1	34	17	17	28
ლოკომოტივი 2	11	8	1	2	43	11	32	25
თბილისი სითი	11	7	1	3	27	14	13	22
ვიტ-ჰოლშია 2	11	7	0	4	20	7	13	21
ვოიაში	11	5	0	6	28	33	-5	15
თორი	11	4	3	4	18	16	2	15
ლიანხი არაბაში	11	3	2	6	9	21	-12	11
მესხეთი	11	3	1	7	9	52	-43	10
აბაული	11	2	1	8	6	26	-20	7
35 სს	11	1	2	8	18	31	-13	5
საპ. უნივერსიტეტი	11	1	1	9	19	43	-24	4

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომის საჯარო სკოლა იუწყება რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ქიმიის მასწავლებელი

**მარინე ჭიტიაშვილი**  
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია მწუხარებით იუწყება გომის საჯარო სკოლის პედაგოგის

**მარინე ჭიტიაშვილის**  
გარდაცვალებას და უსამძიმრებს ოჯახს. D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.  
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.  
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.